„ამერიქან ექსპრესისის“ სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობები

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

1 განსაზღვრებები

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი (ს/კ 204426674);
დამზღვევი - სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869);
დაზღვეული - 16 წლიდან 69 წლამდე ასაკის, ამერიკან ექსპრეს ბარათის მფლობელი, რომლისთვისაც დამზღვევმა გადაიხადა სადაზღვევო პრემია და რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემებიც ეცნობა მზღვეველს.
მოსარგებლე - დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში - მისი მემკვიდრე (ები) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუკი სხვაგვარად არ იქნება დათქმული დაზღვეულის მიერ. ყველა სხვა შემთხვევაში - თავად დაზღვეული.
ბარათი - მოქმედი ბარათი (ამერიკან ექსპრეს გოლდ გრინ ან პლატინა ტიპის), რომელიც დამზღვევის მიერ არის გაცემული დაზღვეულის სახელზე.
ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისი - დამზღვევის მიერ დაზღვეულის სახელზე გაცემული პოლისი, რომელშიც მითითებულია დაზღვეულის პოლისის ნომერი საერთაშორისო ასისტანსის საკონტაქტო ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია დაფარვების ლიმიტებისა და თანაგადახდის წილის შესახებ, რომელიც წინამდებარე სტანდარტულ პირობებთან ერთად ქმნის ამექს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებას.
დაზღვევის პერიოდი - დაზღვევის პერიოდი ემთხვევა მოგზაურობის პერიოდს, რომლის დროსაც სადაზღვევო პოლისი ძალაშია.
დაფარული მოგზაურობა - დაზღვეულის საქართველოს ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ნებისმიერი მოგზაურობისას პირველი 60 დღე, ამერიკან ექსპრეს გოლდ და გრინ ტიპის ბარათისათვის, ხოლო პლატინა ტიპის ბარათისათვის კი პირველი 90 დღე, რომელიც იწყება ბარათის მოქმედების განმავლობაში, მოგზაურობა იწყება დაზღვეულის მიერ იმ ქვეყნის დატოვების მომენტიდან, რომელშიც მას გააჩნია მუდმივი საცოვრებელი ადგილი ან მუდმივი სამუშაო ადგილი და მთავრდება შესაბამის ქვეყანაში/ადგილზე დაბრუნების ან ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვისას, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დადგება უფრო ადრე.
მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა - ქვეყანა, რომელშიც დაზღვეული პირი ცხოვრობს. დაზღვეული პირი მიიჩნევა ქვეყანაში მცხოვრებად თუ ის, 12 თვიან უწყვეტ პერიოდში სულ მცირე 183 კალენდარული დღის განმავლობაში ფაქტიურად იმყოფება ამ ქვეყანაში.
სადაზღვევო ლიმიტი - პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ ჯამურად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს.
სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომლის დადგომაც წინამდებარე პირობების თანახმად წარმოშობს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას.
გაცხადებული პრეტენზია - დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მზღვეველისათვის, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი ფორმით, წარდგენილი მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე.
სადაზღვევო ანაზღაურება - გაცხადებული პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში გასაცემი თანხა.
ფრანშიზა - პოლისში აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი ან ფიქსირებული თანხა, რომელიც მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება და რომელიც აკლდება ყოველი კონკრეტული სადაზღვევო ანაზღაურების თანხას.
უბედური შემთხვევა - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას, მისი სხეულის დაზიანებას ან შრომისუუნარობას.
სხეულის დაზიანება - დაზღვევის პერიოდში უბედური შემთხვევით გამოწვეული სხეულის დაზიანება.

დაზღვევა არ ფარავს:

- **ავადმყოფობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ავადმყოფობა გამოწვეულია სხეულის დაზიანებით;**
- **პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას; ან**
- **ფსიქოლოგიურ ან ფსიქიატრიულ დაავადებას ან მდგომარეობას, გარდა განუკურნებელი სულიერი ავადმყოფობისა, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ უბედური შემთხვევით.**

სამედიცინო დაწესებულება - სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სამედიცინო დაწესებულება. აღნიშნული არ გულისხმობს შშმ პირთა სახლს, სარეაბილიტაციო ცენტრს, მოხუცთა თავშესაფარს, გამოსაჯანმრთელებელ სახლს ან ხანგრძლივი მოვლის მომსახურებას.
რეგულარული რეისი - რეისი, რომელიც იწყება ან მთავრდება აეროპორტში, ტურისტული ფირმის ან ავიაკომპანიის მიერ გაცხადებული გრაფიკის მიხედვით.
ავადმყოფობა - დაზღვევის პერიოდში პირველად დიაგნოსტირებული ნებისმიერი მოულოდნელი ავადმყოფობა, რომელიც არ არის გამოწვეული იმ მდგომარეობით ან დეფექტით, რომლისთვისაც მკურნალობა იყო რეკომენდებული, დადგენილი, განხორციელებული ან უნდა განხორციელებულიყო მოგზაურობის დაწყებამდე, ასევე, ავადმყოფობა, რომელიც არ წარმოადგენს ზემოთაღნიშნული მდგომარეობის ან დეფექტის გართულებას.
ტერორიზმი - საფრთხის, ფაქტიური ძალადობის ან ძალმომრეობის შემცველი ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია დამოუკიდებელი, ნებისმიერი ორგანიზაციის ან მთავრობის სახელით ან მათთან ერთად მოქმედი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ და რომელსაც აქვს აშკარად გამოხატული პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მიზნები ან მისი მიზანია მთავრობაზე ზეგავლენის მოპოვება და/ან საზოგადოების ან მისი ნაწილის დაშინება.
ჩვეული და გონივრული ხარჯები - კონკრეტული ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი, დაზღვეულის მიერ მომსახურებაზე/საქონელზე გაღებული ხარჯები, რაც არ მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც ამ დაზღვევის გარეშე არ იქნებოდა გაღებული და არ მოიცავს იმ სამედიცინო მკურნალობის ხარჯებს, რომელიც არ არის აუცილებელი დაზღვევის პერიოდის ან მგზავრობის განმავლობაში.
ომი - გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, გამოწვეულს ერებს შორის დაპირისპირებით შეიარაღებული ძალების გამოყენებით ან მცდელობით, მონაწილეობა იქნას მიღებული შეიარაღებული ძალების გამოყენებაში და მოიცავს ასევე სამოქალაქო ომს, რევოლუციას და ინტერვენციას, სამხედრო ძალის ნებისმიერ გამოყენებას, ხელისუფლების ან სამხედრო ძალის უზურპირებას, სამხედრო ძალის გამოყენებას ცნობილი ან მოსალოდნელი ტერორისტული აქტის თავიდან ასაცილებლად.
ასისტანსი - Euro-Centre Prague საერთაშორისო ასისტანსის კომპანია 24 საათიანი გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზით: +(420) 221 860 615.

2 პოლისის ზოგადი პირობები

პოლისის პირობების დაუცველობა - დამზღვევის ან/და დაზღვეულის მიერ, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი სადაზღვევო ანაზღაურებისგან.
თაღლითობა/მცდარი ინფორმაციის შეგნებულად მოწოდება - თაღლითობად ჩაითვლება შეგნებულად არასწორი და მცდარი ინფორმაციის მოწოდება. ამ სადაზღვევო დაფარვით გათვალისწინებული არანაირი ანაზღაურება არ გაიცემა იმის მიუხედავად, თუ ვინ წარმოადგენს არასწორ მონაცემებს - დამზღვევი, დაზღვეული თუ მოსარგებლე. მცდარი ინფორმაციის შეგნებულად მოწოდებისას, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს სადაზღვევო დაფარვის ან/და პოლისის ბათილად ცნობა.

სხვა დაზღვევები - თუ სადაზღვევო პრეტენზიის წარმოშობის მომენტში, არსებობს დაზღვეულის სახელზე გაცემული რომელიმე სხვა სადაზღვევო პოლისი, რომელიც ფარავს იგივე ხარჯებსა და ზარალს, მზღვეველი აანაზღაურებს მოთხოვნილი თანხის მხოლოდ იმ პროპორციულ ნაწილს, რომელიც განსაზღვრული იქნება თითოეული ამგვარი სხვა პოლისით გათვალისწინებული დაფარვის მხედველობაში მიღებით. ეს დათქმა არ ეხება დაფარვების ცხრილში მოყვანილ 1-ლ და მე-2 პუნქტებს, რომელთა ანაზღაურებაც გაიცემა სრულად.

2.1 დაზღვევის დაწყებისა და დასრულების დრო

2.1.1. დაზღვევა იწყება:
2.1.1.1. 2020 წლის 01 იანვრის 24:00 საათიდან - იმ პირებისთვის, რომლებზეც ბარათის გაცემა მოხდა 2020 წლის 01 იანვრის 24:00 საათამდე და რომელთა მონაცემებიც დამზღვევის მიერ მიწოდებულ იქნა მზღვეველისთვის;
2.1.1.2. ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დაწყების მომენტიდან - იმ პირებისთვის, რომლებზეც ბარათის გაცემა მოხდა 2020 წლის 01 იანვრის 24:00 საათის შემდგომ.
2.1.2. დაზღვევა წყდება:
2.1.2.1. ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დამთავრების თარიღის დადგომით;
2.1.2.2. დაზღვეულთან ბარათით მომსახურების შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტით;
2.1.2.3. თუ ადგილი აქვს მზღვეველისათვის მცდარი ინფორმაციის შეგნებულად მიწოდების ფაქტს;
2.1.2.4. დამზღვევსა და მზღვეველს შორის სადაზღვევო ურთიერთობის შეწყვეტით;
2.1.2.5. კონკრეტული დაზღვეულის ჭრილში დამზღვევსა და მზღვეველს შორის სადაზღვევო ურთიერთობის შეწყვეტით;
2.1.2.6. დაზღვეულის მიერ 69 (სამოცდაცხრა) წლის ასაკის მიღწევით;
2.1.2.7. დაზღვეულის გარდაცვალებითა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით ან შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმით;
2.1.2.8. სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვით;
2.1.3. ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვა არ წყვეტს ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მოქმედებას, თუ დაზღვეული აქტივაციას გაუკეთებს დამზღვევის მიერ ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვამდე გამოშვებულ ახალ/განახლებულ ბარათს, რა შემთხვევაშიც მზღვეველი, წინამდებარე სტანდარტული პირობებისა და მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გასცემს ახალ ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისს, დამზღვევის მხრიდან ბარათის შესაბამისი დაზღვევის პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

2.2 სპეციფიკური პირობები

თუ წინამდებარე დაზღვევის სტანდარტული პირობების კონკრეტული სექციით უფრო სპეციფიკური წესი არ არის დადგენილი:
2.2.1. დაზღვევის ტერიტორიას წარმოადგენს - მთელი მსოფლიოს ტერიტორია;
2.2.2. დაზღვეულის მიერ, წინამდებარე დაზღვევის სტანდარტული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მზღვევევლი თავისუფლდება ყოველგვარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისგან.
2.2.3. დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ზიანის გამომწვევი ფაქტის დადგომიდან/აღმოჩენიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს მზღვეველს ნებისმიერი პოტენციური გაცხადებული პრეტენზიის თაობაზე.
2.2.4. სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მოთხოვნის მიზნით, დაზღვეულმა/მოსარგებლემ მზღვეველს უნდა მიმართოს გაცხადებული პრეტენზიით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, ხოლო თუ ასეთი ფორმა არ არის დადგენილი მზღვეველის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით.
2.2.5. თუ სტანდარტული პირობებით კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას სპეციალური წესი არ არის განსაზღვრული, გაცხადებული პრეტენზია მზღვეველისთვის წარდგენილ უნდა იქნას შესაბამისი შემთხვევის ზიანის გამომწვევი ფაქტის დადგომიდან/აღმოჩენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
2.2.6. თუ სტანდარტული პირობებით კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას სპეციალური წესი არ არის განსაზღვრული, ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ ფოსტის მისამართზე: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი # 61, ხოლო მზღვეველთან ზეპირი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს შემდეგ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე: + 995 32 2505111
2.2.7. გაცხადებულ პრეტენზიას უნდა დაერთოს კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისთვის სტანდარტული პირობებით განსაზღვრული მტკიცებულებები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, შემდეგი დოკუმენტებით:
2.2.7.1. სამედიცინო დასკვნა, რომელშიც აღწერილი იქნება ყველა დაზიანებისა და დაავადების ხასიათი, მოცულობა და ზუსტი დიაგნოზი;
2.2.7.2. სამედიცინო და გადაუდებელ სატრანსპორტო ხარჯებთან დაკავშირებით გაცხადებული პრეტენზიის შემთხვევაში – ყველა ინვოისი და ქვითარი, რომელიც საშუალებას მისცემს მზღვეველს ზუსტად განსაზღვროს დაზღვეულის მიერ გაღებული სამედიცინო და სხვა ხარჯები;
2.2.7.3. გარდაცვალების შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობა (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ასევე სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი და ყველა მოსარგებლის ვინაობას;
2.2.7.4. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ან სხვა შესაბამისი ორგანოების ანგარიშები/აქტები, მათი არსებობის შემთხვევაში;
2.2.7.5. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება დაზღვეულის ბრალეულობა მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონებისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე;
2.2.7.6. დაზღვეულის პირადი ქონების დაზიანების ან/და დაკარგვის/განადგურების შემთხვევაში - მე-8 სექციაში მითითებული დოკუმენტები;
2.2.7.7. მოგზაურობის გაუქმების ან იურიდიულ რჩევებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოულოდნელი ხარჯების შემთხვევაში - წარმოქმნილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, იმ დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც მითითებულია სტანდარტული პირობებით შესაბამისი სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
2.2.8. თუ მზღვეველი დაზღვეულს მოსთხოვს რაიმე სამედიცინო შემოწმების ჩატარებას, აღნიშნული განხორციელდება მზღვეველის ხარჯით.
2.2.9. თუ მზღვეველისათვის წარდგენილი ინფორმაცია არ არის საკმარისი სადაზღვევო შემთხვევის დასადგენად და სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
2.2.10. დოკუმენტის სახით წარმოსადგენი ყველა მტკიცებულება მზღვეველისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ენაზე, შესაბამისი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.
2.2.11. ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებიდან და მათი კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ადგილი ჰქონდა კონკრეტულ სადაზღვევო შემთხვევას, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია.

2.3 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი

2.3.1. თუ წინამდებარე დაზღვევის სტანდარტული პირობებით სადაზღვევო შემთხვევისთვის სპეციალური წესი არ არის განსაზღვრული, მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი, ყველა აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში:
2.3.1.1. იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე; ან
2.3.1.2. იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის შესახებ;
2.3.1.3. აცნობებს დაზღვეულს/მოსარგებლეს წინამდებარე პუნქტის 2.3.1.1. ან/და 2.3.1.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ვადის, მაგრამ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღისა, საჭიროების შესახებ შესაბამისი ობიექტური გარემოების მითითებით.
2.3.2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში დაზღვეულის/მოსარგებლის შესაბამის საბანკო ანგარიშზე ან სამედიცინო დაწესებულებისთვის/სერვისის მომწოდებლისთვის თანხის ჩარიცხვის გზით, მზღვეველის გადაწყვეტილების შესაბამისად.
2.3.3. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მზღვეველი დაზღვეულს/მოსარგებლეს წარუდგენს დასაბუთებულ უარს წერილობითი ფორმით, დაზღვეულის/მოსარგებლის ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

2.4 სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მზღვეველისათვის წარდგენის წესი

2.4.1. თუ წინამდებარე დაზღვევის სტანდარტული პირობებით კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისთვის სპეციალური წესი არ არის განსაზღვრული, იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრული ან/და ხარვეზიანია, მზღვეველი დაზღვეულს/მოსარგებლეს განუსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა და არაუმეტეს 30 (ოცდაათი), ხარვეზის გამოსასწორებლად და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარსადგენად.
2.4.2. სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობისა და აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენისათვის წინამდებარე პუნქტის 2.4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით მზღვეველის მიერ დაზღვეულისთვის/მოსარგებლისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

3 სადაზღვევო პრეტენზიებთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

მტკიცებულება - დაზღვეული ან მოსარგებლე ვალდებულნი არიან საკუთარი ხარჯით უზრუნველყონ პრეტენზიის მხარდასაჭერად მტკიცებულებების (გარდაცვალების შემდგომი შემოწმების ჩათვლით) წარმოდგენა. მტკიცებულებები უნდა იყოს წარმოდგენილი იმ ფორმით, რომელიც დადგენილი იქნება მზღვეველის მიერ და შეიძლება მოიცავდეს, თუმცა არ შემოიფარგლებოდეს, შემდეგი დოკუმენტებით:

- **მზღვეველის მიერ შემუშავებული პრეტენზიის ფორმა; (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- **სამედიცინო დასკვნა, რომელშიც აღწერილი იქნება ყველა დაზიანებისა და დაავადების ხასიათი, მოცულობა და ზუსტი დიაგნოზი;**
- **სამედიცინო და გადაუდებელ სატრანსპორტო ხარჯებთან დაკავშირებული პრეტენზიის შემთხვევაში– ყველა ინვოისი და ქვითარი, რომელიც საშუალებას მისცემს მზღვეველს ზუსტად განსაზღვროს დაზღვეულის მიერ გაღებული სამედიცინო და სხვა ხარჯები;**
- **გარდაცვალების შემთხვევაში – გარდაცვალების ოფიციალური მოწმობა (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ასევე სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ნებისმიერი და ყველა მოსარგებლის ვინაობას;**
- **პოლიციის ან სხვა ორგანოების ანგარიშები/აქტები, მათი არსებობის შემთხვევაში;**
- **იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება დაზღვეულის ბრალეულობა მესამე მხარის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონებისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით: სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე;**
- **დაზღვეულის ქონების დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში: მე-8 სექციაში მითითებული დოკუმენტები;**
- **მოგზაურობის გაუქმების ან იურიდიულ რჩევებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოულოდნელი ხარჯების შემთხვევაში: წარმოქმნილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, იმ დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სექციის წესებსა და პირობებში.**

მითითებული და საჭიროების შესაბამისად ყველა სხვა დოკუმენტი, მზღვეველისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს, მხოლოდ ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.
თუ მზღვეველისათვის წარდგენილი ინფორმაცია არ არის დამაკმაყოფილებელი, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
შეტყობინება - დაზღვეული ან მოსარგებლე ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში შეატყობინოს მზღვეველს ნებისმიერი პოტენციური პრეტენზიის თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს პრეტენზიის გამომწვევი შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადისა.
სამედიცინო შემოწმება - მზღვეველი უფლებამოსილია ნებისმიერ პრეტენზიასთან დაკავშირებით მოსთხოვოს დაზღვეულს სამედიცინო შემოწმების ჩატარება მზღვეველის ხარჯზე.

4 პოლისის ზოგადი გამონაკლისები

მზღვეველი არ დააკმაყოფილებს პრეტენზიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან გამომდინარე იქნება შემდეგი გარემოებებიდან:

- **იონიზირებული რადიაცია ან რადიაქტიული დაბინძურება გამოწვეული ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის წვის შედეგად მიღებული ბირთვული ნარჩენებით;**
- **ფეთქებადი, ბირთვული მასალის/დანადგარის ან მისი რომელიმე ბირთვული ელემენტის რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო თვისებები;**
- **პათოგენური ან მომწამვლელი ბიოლოგიური ან ქიმიური მასალების გაფრქვევა, გამოყენება ან ემისია;**
- **ომი (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი);**
- **ტერორიზმი;**
- **განზრახ თვითდაზიანება, კრიმინალური ქმედება ან კრიმინალური ქმედების მცდელობა, თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა;**
- **ფრენა, გარდა კომერციული მგზავრის სტატუსით ან რეგულარული ან ჩარტერული რეისით ფრენისა;**
- **უბედური შემთხვევა, როდესაც დამტკიცებული იქნება, რომ მისი მოხდენის დროს დაზღვეული იმყოფებოდა ალკოჰოლის**

და/ან ნარკოტიკების ან ექიმის დანიშნულების გარეშე მედიკამენტების (შემდგომში-წამალი) ზემოქმედების ქვეშ ან/და როდესაც მედიკამენტები მიღებული იქნა ექიმის დანიშნულებით, მაგრამ დამამზადებლის ინსტრუქციის დარღვევით;

- **შიდსი/აივ ვირუსი, ვენერიული ან მასთან დაკავშირებული დაავადებები;**
- **ისეთ სახიფათო სპორტის სახეობებში აქტიური მონაწილეობა, როგორიცაა: პარაშუტით ფრენა/ხტომა, პარაპლანით ფრენა, გაუკვალავ თოვლში სრიალი, ყვინთვა, სპელეოლოგია და ელასტიური თოკით გადმოხტომა; სპორტულ შეჯიბრებაში პროფესიონალური ან ნახევრადპროფესიონალური მონაწილეობა;**
- **მოტოციკლეტის ან 125 კუბურ სანტიმეტრზე მეტი ძრავის მქონე სკუტერის მართვა ან მასში მგზავრობა;**
- **სამხედრო, პოლიციურ, მილიციის ან გასამხედროებულ ორგანიზაციებში მსახური, წვრთნა ან მოვალეობის შესრულება;**
- **დაზღვევის პერიოდის დაწყებამდე არსებული სხეულის ნებისმიერი დაზიანება ან ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით ან ნაკლით, რის თაობაზეც დაზღვეულმა მიმართა ექიმს ან მას დაენიშნა ან/და ჩაუტარდა მკურნალობა მოგზაურობის დაწყებამდე.**

სექცია 1 - უბედური შემთხვევის შედეგად/გამო გარდაცვალება

თუ დაზღვეულს დაზღვევის პერიოდის განმავლობაში მიადგება სხეულის დაზიანება, რაც რაიმე სხვა მიზეზისაგან დამოუკიდებლად გამოიწვევს დაზღვეულის გარდაცვალებას შემთხვევის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში, მზღვეველი მოსარგებლეს გადაუხდის პოლისის დაფარვების ცხრილით (1-ლი პუნქტით/გრაფით) განსაზღვრულ თანხას ქვემოთ მოყვანილი წესების შესაბამისად.

სექცია 2 - მუდმივი სრული შრომისუუნარობა

თუ დაზღვეულს დაზღვევის პერიოდის განმავლობაში მიადგება სხეულის დაზიანება, რაც რაიმე სხვა მიზეზისაგან დამოუკიდებლად გამოიწვევს მუდმივ სრულ შრომისუუნარობას, მზღვეველი დაზღვეულს გადაუხდის პოლისის დაფარვების ცხრილით (მე-2 პუნქტით/გრაფით) განსაზღვრულ თანხას ქვემოთ მოყვანილი წესების შესაბამისად. მუდმივი სრული შრომისუუნარობა ნიშნავს შრომისუუნარობას, რომელიც გრძელდება სულ მცირე სხეულის დაზიანებიდან 12 თვის განმავლობაში და სრულად გამორიცხავს დაზღვეულის მიერ ნებისმიერი საქმიანობის გაწევის შესაძლებლობას და რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს მისი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

1-ელ და მე-2 სექციებთან დაკავშირებული პირობები:

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული დაიკარგება და სათანადო ორგანო დაზღვეულს მიიჩნევს გარდაცვლილად, სადაზღვევო ანაზღაურება პოლისით განსაზღვრული ოდენობით იქნება გადახდილი იმის გათვალისწინებითა და პირობით, რომ მოსარგებლე განაცხადებს წერილობით თანხმობას, რომლის მიხედვითაც მზღვეველს ექნება გადახდილი ანაზღაურების უკან მოთხოვის უფლება თუ შემდგომში დაზღვეული აღმოჩნდება ცოცხალი. გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების მზღვეველისათვის დაბრუნების ვალდებულება სოლიდარულად ეკისრება როგორც მოსარგებლეს ასევე დაზღვეულს. გარდაცვალება ან შრომისუუნარობა, რომელიც გამოწვეული იქნება მკაცრი კლიმატური პირობების ზემოქმედებით, ჩაითვლება უბედური შემთხვევით გამოწვეულად.

სექცია 3 - მოტეხილობა (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული დაზღვევის მოქმედების განმავლობაში მიიღებს სხეულის დაზიანებას უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც 1 თვის განმავლობაში უშუალოდ და ყოველგვარი სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოვლინდება, როგორც მოტეხილობა, მზღვეველი დაზღვეულს გადაუხდის პოლისის დაფარვების ცხრილით (მე-3 პუნქტით/გრაფით) განსაზღვრული თანხის გარკვეულ პროცენტს, რომელიც დამოკიდებულია მოტეხილობის ტიპზე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი უბედური შემთხვევა გამოიწვევს ერთზე მეტ მოტეხილობას, თითოეულის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი შეიკრიბება, მაგრამ მზღვეველი არ გადაიხდის დაფარვების ცხრილით განსაზღვრული ლიმიტის 100%-ზე მეტს.

მოტეხილობების სარგებელთა ცხრილი

1.მენჯის ძვლის მოტეხილობები (გარდა კუდუსუნის ძვლისა)
ა) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი ღია და ერთი სრული მოტეხილობა) 100%
ბ) ყველანაირი ღია მოტეხილობა 50%
გ) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი სრული მოტეხილობა) 30%
დ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 20%

2.ბარძაყის და ქუსლის ძვლის მოტეხილობები (გარდა კუდუსუნის ძვლისა)
ა) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი ღია და ერთი სრული მოტეხილობა) 50%
ბ) ყველანაირი ღია მოტეხილობა 40%
გ) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი სრული მოტეხილობა) 30%
დ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 20%

3.წვივის ძვლის, ლავიწის ძვლის, იდაყვის სახსრის, მხრის და წინამხრის ძვლის მოტეხილობები (მაჯის ჩათვლით, გარდა ტიპიურ ადგილას სხივის ძვლის მოტეხილობისა)
ა) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი ღია და ერთი სრული მოტეხილობა) 40%
ბ) ყველანაირი ღია მოტეხილობა 30%
გ) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი სრული მოტეხილობა) 20%
დ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 12%

4.ქვედა ყბის მოტეხილობა
ა) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი ღია და ერთი სრული მოტეხილობა) 30%
ბ) ყველანაირი ღია მოტეხილობა 20%
გ) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი სრული მოტეხილობა) 16%
დ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 8%

5.ბეჭის, კვირისთავის, მკერდის ძვლის, ხელის (გარდა თითებისა და მაჯისა), ფეხის (გარდა თითებისა და ქუსლისა) მოტეხილობები
ა) მხოლოდ ღია მოტეხილობები 20%
ბ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 10%

6.ტიპიურ ადგილას წინამხრის სხივის ძვლის მოტეხილობა
ა) მხოლოდ ღია მოტეხილობები 20%
ბ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 10%

7.ხერხემლის სვეტის მოტეხილობა (მთელი ხერხემალი, გარდა კუდუსუნის ძვლისა)
ა) ყველანაირი კომპრესიული მოტეხილობა 20%
ბ) ყველანაირი მოტეხილობა განივი და წვეტიანი მორჩების და ღეროსი 20%
გ) ხერხემლის სვეტის ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 10%

8.რამდენიმე ნეკნის, ყვრიმალის ძვლის, კუდუსუნის, ზედა ყბის, ცხვირის ძვლების, ფეხის და ხელის თითების მოტეხილობები
ა) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი ღია და ერთი სრული მოტეხილობა) 16%
ბ) ყველანაირი ღია მოტეხილობა 12%
გ) მრავლობითი მოტეხილობა (სულ მცირე ერთი სრული მოტეხილობა) 8%
დ) ყველანაირი დანარჩენი მოტეხილობა 4%

9.თავის ქალის მოტეხილობა (გარდა ცხვირის და კბილებისა) 50%

გამონაკლისები რომლებიც ვრცელდება მოტეხილობებზე მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე სახის ანაზღაურების გაცემაზე ისეთ მოტეხილობაზე:
- **რომელიც გამოწვეულია ოსტეოპოროზით**
- **ანესთეზიის გარეშე ძვლის ჩასმით**

სექცია 4 - დამწვრობა (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული დაზღვევის მოქმედების განმავლობაში მიიღებს სხეულის დაზიანებას უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც 1(ერთი) თვის განმავლობაში უშუალოდ და ყოველგვარი სხვა მიზეზისაგან დამოუკიდებლად გამოვლინდება, როგორც დამწვრობა, მზღვეველი მოსარგებლეს გადაუხდის პოლისის დაფარვების ცხრილით (მე-4 პუნქტით/გრაფით) განსაზღვრული თანხის გარკვეულ პროცენტს, რომელიც დამოკიდებულია დამწვრობის ტიპზე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.
- **მთელი სხეულის ზედაპირის 27% ან მეტი 100%**
- **მთელი სხეულის ზედაპირის 18% ან მეტი, მაგრამ 27%-ზე ნაკლები 60%**
- **მთელი სხეულის ზედაპირის 9% ან მეტი, მაგრამ 18%-ზე ნაკლები 35%**
- **მთელი სხეულის ზედაპირის 4.5% ან მეტი, მაგრამ 9%-ზე ნაკლები 20%**

სექცია 5 - გადაუდებელი სამედიცინო და გადაუდებელი მგზავრობის ხარჯები (გადაუდებელი მგზავრობის ხარჯები მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
იმ შემთხვევაში, თუ პოლისის მოქმედების განმავლობაში დაზღვეული განიცდის სხეულის დაზიანებას უბედური შემთხვევის შედეგად ან ავადმყოფობას, მზღვეველი დაზღვეულს აუნაზღაურებს გონივრულად და საჭიროებისამებრ გაღებულ სამედიცინო და გადაუდებელი მგზავრობის ხარჯებს, მაგრამ მხოლოდ იმგვარ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია სხეულის უბედური შემთხვევის შედეგად დაზიანებიდან ან ავადმყოფობის შესახებ პირველი დიაგნოზის დასმიდან პირველი 180 დღის განმავლობაში და არაუმეტეს პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხისა, შესაბამისი ფრანშიზის გათვალისწინებით.

მე-5 სექციასთან დაკავშირებული განსაზღვრებები

სამედიცინო ხარჯები
დაზღვეულის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაღებული ჩვეული და გონივრული ხარჯები იმ სამედიცინო, ქირურგიული ან სხვა სამკურნალო ხასიათის მომსახურებისათვის რომელიც გაწეული ან დანიშნული იქნება ექიმის მიერ.

ოჯახის წევრის გადაუდებელი მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
ეკონომკლასით (ან მზღვეველის გადაწყვეტილებით სხვა კლასით) ტრანსპორტირებისა და განთავსების დამატებითი ხარჯები პოლისის დაფარვების ცხრილის გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, რომლებიც შეიძლება გაიღოს დაზღვეულმა მზღვეველის გადაწყვეტილებით, მაგრამ არაუმეტეს ორ პიროვნებაზე, ოჯახის წევრის ან საქმიანი პარტნიორის ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია, რომ მგზავრობდნენ დაზღვეულთან ერთად, იმყოფებოდნენ მასთან, თან ახლდნენ მას ან ჩაანაცვლონ ის.

სტომატოლოგიური ხარჯები
სტომატოლოგიური ხარჯები იფარება შესაბამისი პუნქტით გათვალისწინებულ ლიმიტის ფარგლებში, თუ ეს ხარჯები შედეგია სხეულის დაზიანების ან მოულოდნელი და მწვავე ტკივილისა, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ მკურნალობას. მზღვეველი არ აანაზღაურებს ხარჯებს კბილის მუდმივი გვირგვინის ან პროთეზისთვის.

პირობები, რომლებიც ვრცელდება მე-5 სექციაზე
დაზღვეული ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ასისტანსს, თუ სხეულის დაზიანება ან ავადმყოფობა გამოიწვევს ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობას.

სექცია 6 - რეპატრიაციის და ტრანსპორტირების ხარჯები
შესაბამისი საშუალებებით სათანადო სამედიცინო დაწესებულებამდე ან დაზღვეულის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში მდებარე სახლამდე ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც რეკომენდირებული იქნება მზღვეველის დანიშნული სამედიცინო მრჩეველის მიერ ადგილობრივ თავმდგომ ექიმთან ერთად.
გარდაცვალების შემთხვევაში, დაფარვას ექვემდებარება სხეულის ან ფერფლის და დაზღვეულის პირადი ნივთების მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ტრანსპორტირების ხარჯები პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხის ფარგლებში.
სხეულის ან ფერფლის ტრანპორტირების შემთხვევაში, მზღვეველი ასევე გადაიხდის სასახლის ღირებულებას პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხის ფარგლებში.

პირობები, რომლებიც ვრცელდება მე-6 სექციაზე
დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია შეძლებისდაგვარად სწრაფად დაუკავშირდეს ასისტანსს თუ სხეულის დაზიანება ან ავადმყოფობა გამოიწვევს ჰოსპიტალიზაციის ან რეპატრიაციის აუცილებლობას. ასეთზე გაწეული ხარჯები უნდა დამტკიცდეს ასისტანსის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯები შეიძლება არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას.
თუ მზღვეველის მიერ დანიშნული სამედიცინო მრჩეველი და ადგილობრივი თავმდგომი ექიმი ნებას რთავს დაზღვეულს გადაადგილდეს ტრანსპორტით მის მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში მდებარე სახლამდე, მაგრამ დაზღვეული უარს იტყვის ამაზე, მზღვეველი არ იქნება ვალდებული აანაზღაუროს სამედიცინო ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება შეთავაზებული ტრანსპორტირების დაწყების თარიღის შემდეგ.

გამონაკლისები, რომლებიც ვრცელდება მე-6 სექციაზე
მზღვეველს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე სახის პრეტენზიასთან დაკავშირებით
- **როდესაც დაზღვეული მგზავრობს ექიმის მითითების საწინააღმდეგოდ;**
- **როდესაც მგზავრობის მიზანია მკურნალობის ან სამედიცინო რჩევის მიღება;**
- **თუ დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება/დაავადება გამოწვეულია მისი ორსულობით და გართულება/დაავადებას ადგილი აქვს ბავშვის დაბადების მოსალოდნელ თარიღამდე ერთი თვის განმავლობაში.**

ასისტანსი
ასისტანსის ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს, როდესაც დაზღვეული მგზავრობს პოლისის მოქმედების განმავლობაში. თუ არსებობს სამედიცინო დახმარების აუცილებლობა,ნებისმიერ დროს დაუკავშირდით გადაუდებელი დახმარების Euro-Centre Prague 24 საათიან ცხელ ხაზს: +(420) 221 860 615, როდესაც უკავშირდებით ასისტანსს დახმარებისათვის, მიწოდებულ უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:
- **დაზღვეულის სახელი, პოლისის და/ან ამერიკან ექსპრესის ბარათის ნომერი ან პირადი ნომერი;**
- **ტელეფონის, ფაქსის, ან ტელექსის ნომერი, რომელზეც შეიძლება დაზღვეულთან დაკავშირება;**
- **დაზღვეულის მისამართი საზღვარგარეთ;**
- **საჭირო გადაუდებელი დახმარების აღწერა.**

სექცია 7 - იურიდიული მომსახურების ხარჯები (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხის ფარგლებში დაზღვეულის მიერ ან მისი სახელით გაღებულ იურიდიული მომსახურების ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ან/და კომპენსაციის მიღებას მესამე მხარისაგან, რომელმაც პოლისის მოქმედების განმავლობაში მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევის შედეგად გამოიწვია დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან ავადმყოფობა, რაც გახდა დაზღვეულის მიერ, ამ პოლისის პირობების შესაბამისად, მართლზომიერი სადაზღვევო პრეტენზიის წაყენების საფუძველი.

გირაო (სამივე ტიპის ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს გირაოს ხარჯებს დაფარვების ცხრილის შესაბამის პუნქტში მითითებული ლიმიტის ფარგლებში, თუ დაზღვეული მიჩნეულია მოპასუხედ/ეჭვიმატნილად/ბრალდებულად ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომაში და მის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება, იგი დაკავებულია ან არსებობს მისი დაკავების საფრთხე.

მე-7 სექციასთან დაკავშირებული განსაზღვრებები (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
დანიშნული წარმომადგენელი კვალიფიციური იურისტი ან იურიდიული ფირმა, რომელიც დანიშნულია დაზღვეულის სასარგებლოდ და მოქმედებს მისი სახელით.

იურიდიული მომსახურების ხარჯები ნებისმიერი გადასახდელები, ხარჯები და სხვა თანხები, რომლებიც გონივრულად იქნება მოთხოვნილი დანიშნული წარმომადგენლის მიერ ნებისმიერ სარჩელთან ან სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ექსპერტის-მოწმეების ხარჯებსა და გადასახდელებს, ისევე, როგორც მზღვეველის მიერ ამგვარი სარჩელისას საქმის წარმოებისთვის გაღებულ ხარჯებს.

ნებისმიერი ხარჯები (გადასახდელები და სხვა), რომელთა გადახდაც დაეკისრება დაზღვეულს სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით და ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც გადასახდელი იქნება რაიმე სარჩელთან ან საქმის წარმოებასთან დაკავშირებით სასამართლოს გარეშე მორიგების საფუძველზე.

ნებისმიერი გადასახდელები, ხარჯები და სხვა თანხები, რომლებიც გონივრულად იქნება გაღებული დანიშნული წარმომადგენლის მიერ სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან ან გასაჩივრებული პოზიციის დაცვასთან დაკავშირებით.

პრეტენზიების დაკმაყოფილების პირობები, რომლებიც ვრცელდება მე-7 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
თავდაპირველად აუცილებელია, რომ დაზღვეულმა მოიპოვოს იურიდიული მომსახურების ხარჯების დაფარვაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობა. აღნიშნული თანხმობა გაიცემა თუ დაზღვეული მზღვეველს დაარწმუნებს იმაში, რომ:
► **არსებობს სამართალწარმოების წამოწყების მიზანშეწონილი საფუძვლები და**
► **მიზანშეწონილია იურიდიული მომსახურების ხარჯების გაღება კონკრეტულ შემთხვევაში.**
თანხმობის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება დანიშნული წარმომადგენლის და მზღვეველის უშუალო მრჩეველების მოსაზრება. მზღვეველმა შეიძლება მოითხოვოს დაზღვეულის ხარჯზე დამოუკიდებელი იურისტის ან იურიდიული ფირმის დასკვნა პრეტენზიისა და სამართალწარმოების კონკრეტული გარემოებების თაობაზე. თუ პრეტენზია იქნება მიღებული, დაზღვეულის მიერ გაღებული ხარჯები აღნიშნულ სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებით ექვემდებარება ანაზღაურებას.
ერთიდაიმავე მიზეზის, გარემოების ან შემთხვევის საფუძველზე წარმოქმნილი ყველა პრეტენზია, ან სამართალწარმოება გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ჩათვლით, ჩაითვლება ერთ პრეტენზიად.
თუ დაზღვეული მოიგებს რომელიმე პროცესს და ასეთზე გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯები დაეკისრება სხვა პირს, დაზღვეული ვალდებულია, აუნაზღაუროს მზღვეველს მის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯები.

გირაოსთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ გადახდილი თანხები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდება დაზღვეულს, უკან უნდა დაუბრუნდეს მზღვეველს დაზღვეულის მიერ, მისი მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნებიდან ან მისთვის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

გამონაკლისები, რომლებიც ვრცელდება მე-7 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა:
► **იურიდიული მომსახურების ხარჯებზე, რომლებიც გაღებული იქნება დაზღვეულის წინააღმდეგ მიმართული რაიმე სახის სამოქალაქო დავასთან ან/და სამართალწარმოებასთან დაკავშირებით;**
► **სისხლის სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ დაკისრებულ რაიმე სახის ჯარიმებზე ან სხვა საურავებზე;**
► **იურიდიული მომსახურების ხარჯებზე, რომლებიც გაღებული იქნება რომელიმე სამოგზაურო აგენტის, ტუროპერატორის, მზღვეველის ან მისი აგენტის წიმააღმდეგ სარჩელის წაყენებასთან დაკავშირებით;**
► **იურიდიული მომსახურების ხარჯებზე, რომლებიც გაღებული იქნება დაზღვეულის მიერ დამზღვევის,მზღვეველის ან ნებისმიერი სხვა იმ ორგანიზაციის ან იმ პირის წინააღმდეგ სარჩელის წაყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩართული იქნება წინამდებარე დაზღვევის გაფორმებაში (ვრცელდება ყველა ბარათის მფლობელზე);**
► **იურიდიული მომსახურების ხარჯებზე, რომლებიც გაღებული იქნება დაზღვეულის მიერ განზრახ ჩადენილ კრიმინალურ ქმედებასთან დაკავშირებით;**
► **იმ მოთხოვნაზე ან გარემოებაზე, რომელთა შესახებაც შეტყობინება გაკეთდება პროცესების დაწყების გამომწვევი შემთხვევის დადგომიდან 2 წლის გასვლის შემდგომ.**

სექცია 8 - პირადი ქონება (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობისას დაზღვეული დაკარგავს ან მას მოპარავენ ან დაუზიანებენ პირად ქონებას პოლისის მოქმედების განმავლობაში, მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს ამგვარი ქონების შეცვლის ან შეკეთების ხარჯებს პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის პირადი ქონება დროებით დაიკარგება ოთხ საათზე მეტი ხნით მგზავრობის დაწყებისას ან მგზავრობიდან დაბრუნებისას, მზღვეველი გადაიხდის ანაზღაურებას დაფარვების ცხრილში ბარგის დაგვიანებისათვის განსაზღვრული თანხის ფარგლებში აუცილებელი და მიზანშეწონილი შემცვლელი საგნების შესაძენად. თუ პირადი ქონება, რომელიც დროებით იყო დაკარგული, ჩაითვლება მუდმივად დაკარგულად და აღნიშნული გამოიწვევს პრეტენზიის წარმოშობას, მზღვეველი საბოლოო ანაზღაურებიდან გამოქვითავს დროებითი დაკარგვისთვის უკვე გადახდილ თანხას.

მე-8 სექციასთან დაკავშირებული განსაზღვრებები (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
პირადი ქონება - ქონება, რომელიც ეკუთვნის ან მიბარებული აქვს დაზღვეულს ან რომელიც მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფება.
პრეტენზიების დაკმაყოფილების პირობები, რომლებიც ვრცელდება მე-8 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
ნებისმიერი პრეტენზია დაექვემდებარება მზღვეველის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ შეფასებას, რაც დაეფუძნება იმ საგნების წლოვანებას და სავარაუდო ცვეთას, რომლებიც წარმოადგენს პრეტენზიის საგანს. ანაზღაურება გაიცემა მზღვეველის მიერ გადამზიდავის მიერ განხორციელებული გადახდების გამოკლებით. ნებისმიერი პრეტენზია პირადი ქონების შეცვლასთან დაკავშირებით დაექვემდებარება ფრანშიზას. ტრანზიტისას წარმოქმნილი ზარალის ან ზიანის შესახებ პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს გადამზიდავს. პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- **შესაბამისი გადამზიდავისთვის დაკარგვის, მოპარვის ან დაზიანების თაობაზე მიწოდებული დეკლარაციის ასლი;**
- **შესაბამისი გადამზიდავის ან პოლიციის ორგანოს ანგარიშის ასლი;**
- **გადამზიდავის მიერ დაკარგვის შემთხვევაში – ბილეთის და ბარგის ბილეთის ორიგინალი;**
- **დაკარგული, მოპარული ან დაზიანებული პირადი ქონების ჩამონათვალი, შეძენის თარიღისა და შენაძენის ღირებულების მითითებით;**
- **დაკარგული, მოპარული ან დაზიანებული საგნების შეძენის დამადასტურებელი ორიგინალი ქვითრები, თუკი ასეთი საგნები შეძენილია მოგზაურობისას;**
- **გადამზიდავის მიერ დაზღვეულისთვის გადახდილი კომპენსაციის დამადასტურებელი საბუთები.**

გამონაკლისები, რომლებიც ვრცელდება მე-8 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველი არ აანაზღაურებს:
- **ნებისმიერი ერთი საგნისათვის 200.00 ევროზე მეტს, მაგრამ ჯამურად - არაუმეტეს პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული ლიმიტისა;**
- **ზარალს, გამოწვეულს შუშის, კერამიკის ან სხვა მსხვრევადი საგნების დამსხვრევით, დაკაწვრით, ან გატეხვით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გამოწვეული იქნება ხანძრით, მოპარვით, ან იმ გადასაზიდი საშუალების ავარიით, რომლითაც ხდება მათი გადაზიდვა;**
- **სპორტული ინვენტარის დაზიანებას ან დაკარგვას მათი გამოყენებისას;**
- **ზარალს ან დაზიანებას, გამოწვეულს ჩრჩილით, პარაზიტებით, ცვეთით, ატმოსფერული ან კლიმატური პირობებით ან გაუფასურებით, მექანიკური ან ელექტრონული სისტემების დაზიანებით, გაწმენდის, შეღებვის, განახლების, შეკეთებისა და შეცვლის ნებისმიერი პროცესით;**
- **ფულადი თანხების, ობლიგაციების, თავისუფლად ბრუნვადი და სხვა ფასიანი ქაღალდების დაკარგვას;**
- **ზარალს ან ზიანს, გამოწვეულს სახელისუფლებო ან საზოგადოებრივი ორგანოს ბრძანების საფუძველზე განხორციელებული გადავადებით, დაკავებით ან კონფისკაციით;**
- **ავტომანქანების, მათი აქსესუარებისა და სათადარიგო ნაწილების დაკარგვას ან დაზიანებას;**
- **ავტომანქანიდან მოპარვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ავტომანქანაში შეღწევას ხილვადი, ძალისმიერი და უხეში საშუალებებით;**
- **იმ პირადი ქონების დაზიანებას ან დაღუპვას, რომელიც გაგზავნილი იქნება ტვირთის სახით ან რაიმე სახის საჰაერო ან სახმელეთო ზედნადებით.**

სექცია 9 - მოგზაურობის გაუქმება, ვადაზე ადრე შეწყვეტა და შეფერხება (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველი გადაუხდის ანაზღაურებას დაზღვეულს/მოსარგებლეს პოლისის დაფარვების ცხრილში მითითებული თანხის ფარგლებში, თუ პოლისის მოქმედების განმავლობაში მოგზაურობა გაუქმდება, ვადაზე ადრე შეწყდება, ან შეფერხდება დაზღვეულის ან მისი უახლოესი ოჯახის წევრის სერიოზული მწვავე ავადმყოფობის, გარდაცვალების ან სხვა რაიმე დაზიანების მიზეზით. ავადმყოფობის ან დაზიანების სიმწვავე უნდა შეფასდეს ექიმის მიერ.
მოგზაურობის გაუქმება (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
როცა მოგზაურობა უნდა შეწყდეს გამგზავრებამდე, მზღვეველი აანაზღაურებს ტრანსპორტირებასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ ყველა დეპოზიტსა და წინასწარ განხორციელებულ გადახდას, რომლებიც არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.
მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
თუ მოგზაურობა ვადაზე ადრე შეწყდება გამგზავრების შემდგომ, მზღვეველი აანაზღაურებს იმ ხარჯებს, რომლებიც:
- **უკვე განეულია ან იქნება გასაწევი ასეთ მგზავრობაზე ან**
- **გახდება გასაწევი კონტრაქტის საფუძველზე ან**
- **სხვაგვარად არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.**

მგზავრობის შეფერხება (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
იმ შემთხვევაში, თუ გემის, თვითმფრინავის ან მატარებლის გამგზავრება, რომელზეც დაზღვეულს დაჯავშნული აქვს ადგილი დანიშნულების ადგილზე გასამგზავრებლად, მოგზაურობის დაწყებამდე ან დასრულებისას შეფერხდება გაფიცვის, ცუდი კლიმატური პირობების ან მექანიკური დაზიანების გამო, მზღვეველი მოსარგებლეს აუნაზღაურებს პოლისის დაფარვების ცხრილში ამისათვის განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტამდე აუცილებელი შესყიდვების ხარჯებს, როგორებიცაა: საკვები, სასმელი ან განთავსების ხარჯები. მზღვეველი დაფარავს მხოლოდ იმ შეფერხებებს, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება პოლისში მითითებული მინიმალურ შეფერხებების დროს.

პრეტენზიების დაკმაყოფილების პირობები, რომლებიც ვრცელდება მე-9 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დასაბუთებული მტკიცებულება იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ექვემდებარება დაზღვეულის კონტროლს და რომლებმაც გამოიწვია ამ სექციის პირობების შესაბამისად პრეტენზიის წარმოქმნა, უნდა მიეწოდოს მზღვეველს მისთვის ყოველგვარი ხარჯების დაკისრების გარეშე და მის მიერ დადგენილი ფორმითა და შინაარსით.

გამონაკლისები, რომლებიც ვრცელდება მე-9 სექციაზე (მხოლოდ გოლდ და პლატინა ბარათის მფლობელთათვის)
მზღვეველი არ გასცემს არანაირ ანაზღაურებას თუ მოგზაურობა გაუქმებულია, ვადაზე ადრე შეწყვეტილია ან შეფერხებულია შემდეგი მიზეზების გამო:
- **დაზღვეულის გადაწყვეტილება აღარ გაემგზავროს ან მოგზაურობის მიმდინარეობისას შეწყვიტოს იგი;**
- **ვიზის გაცემაზე უარის თქმა;**
- **დაზღვეულის ფინანსური ან ბიზნეს გარემოებების შეცვლა;**
- **დაზღვეულის მოგზაურობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მომწოდებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა/დარღვევა;**
- **სახელისუფლებო ორგანოს ან მთავრობის მიერ განხორციელებული რეგულირება/შეზღუდვა;**
- **მექანიკური დაზიანება ან სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობა (გარდა სახმელეთო და სარკინიგზო მომსახურების შეფერხებისა მეწყერის, თოვლის ან წყალდიდობის გამო), როდესაც გემის, თვითმფრინავის ან მატარებლის გამგზავრება, რომელზეც დაზღვეულს დაჯავშნული აქვს ადგილი, შეფერხებულია 24 საათზე მეტი დროით;**
- **გაფიცვა, რომლის გამოც გემის, თვითმფრინავის ან მატარებლის გამგზავრება, რომელზეც დაზღვეულს დაჯავშნული აქვს ადგილი შეფერხებულია სულ ცოტა 24 საათით. მზღვეველი არ გასცემს არანაირ ანაზღაურებას თუ გაფიცვას უკვე ადგილი ჰქონდა მოგზაურობის/ადგილების დაჯავშნამდე ან არსებობდა გაფიცვის დაწყების შესაძლებლობა და დაზღვეული ამის შესახებ წინასწარ იყო გაფრთხილებული;**
- **დაზღვეული მგზავრობს ან გეგმავს გამგზავრებას ექიმის მითითების საწინააღმდეგოდ ან მკურნალობის ჩასატარებლად;**
- **დაზღვეულის ნებისმიერი განცხადება მოგზაურობის შეწყვეტის თაობაზე იმ მიზეზით, რომ შეფერხდა გემის, თვითმფრინავის ან მატარებლის გამგზავრება, თუ:**

დაზღვეული ვერ შეძლებს დაგეგმილ რეისზე დარეგისტრირებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი შეუძლებლობა გამოწვეული იყო გაფიცვით ან შეფერხება მოხდა ნებისმიერი პორტის, რკინიგზის ან სამოქალაქო ავიაციის მმართველი ორგანოს ან ნებისმიერი ქვეყნის მსგავსი ორგანოს განკარგულების ან რეკომენდაციის საფუძველზე რომელიმე გემის, თვითმფრინავის ან მატარებლის დროებით ან მუდმივად ექსპლუატაციიდან ამოღების თაობაზე.

განყოფილება II – შენაძენისა და ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენების დაზღვევა
სექცია I - შენაძენის დაზღვევა

1.შენაძენის სადაზღვევო დაფარვა
შენაძენის სადაზღვევო დაფარვის პირობებით მზღვეველი ამერიკან ექსპრეს ბარათის მფლობელს აუნაზღაურებს ფინანსურ დანაკარგს, რომელიც მას მიადგება მოგზაურობისას, ნებისმიერი **სამომხმარებლო საქონლის** ქურდობისა თუ ძარცვის შედეგად და რომელიც შეძენილია მოგზაურობისას და რომლის მინიმალური ფასი ხსენებული ამერიკან ექსპრეს ბარათით შეძენისას შეადგენდა 50.00 ევროს. მზღვეველი აგრეთვე დაფარავს ზემოაღნიშნული საქონლის შეძენიდან 30 დღის განმავლობაში მის გაუთვალისწინებელ გარეგან დაზიანებას, რომელიც გავლენას მოახდენს მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებაზე.
შენაძენის სადაზღვევო დაფარვის შემთხვევაში, მზღვეველი აანაზღაურებს (1) ქურდობის ან ძარცვის შედეგად დაკარგული საქონლის შესაძენ ღირებულებას, ან (2) დაზიანებული საქონლის შეკეთების ფასს ან შენაძენის ღირებულებას. ეს უკანასკნელი ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო საქონლის შეკეთება შეუძლებელია, ან შეკეთების ფასი აღემატება შენაძენის ღირებულებას.

2.გამონაკლისები
მზღვეველის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება:
- **საქონლის იმ ზიანზე, რომელიც მას ბარათის მფლობელმა ან მასთან მცხოვრებმა პირმა ან ნათესავმა მიაყენა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად;**
- **ქონების საეჭვო ან დაუდგენელ პირობებში გაქრობაზე;**
- **კოროზიით, ტენიანობითა და ექსტრემალური ტემპერატურით თუ ყინვით გამოწვეულ ზიანზე;**
- **არასწორი ან არაპროფესიონალური აწყობის/გამართვის შედეგად გამოწვეულ ზიანზე;**
- **საქონლის მწარმოებლის ან დისტრიბუტორის მიერ მოწოდებული ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ გამოყენებით გამოწვეულ ზიანზე;**
- **ნაკაწრებზე, ლაქებსა თუ სხვა ესთეტიურ ზიანზე, რომელიც არ ახდენს გავლენას საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;**
- **ბირთვული რეაქციითა და რადიოაქტიური რადიაციით გამოწვეულ ზიანზე;**
- **ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხით, ტერორისტული აქტითა და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციით მიყენებულ ზიანზე;**
- **სატრანსპორტო საშუალებიდან ქურდობის შემთხვევაზე;**
- **გემებისა თუ სხვა მექანიკური გადაადგილების საშუალებების (თვითმფრინავების, ავტომანქანების და მოტოციკლების ჩათვლით) ნაწილებზე თუ აღჭურვილობაზე მიყენებულ ზიანზე;**
- **იმ საქონლის ზიანზე, რომლის ფასიც შეძენისას არ აღემატებოდა 50.00 ევროს;**
- **იმ შემთხვევებზე, როდესაც ზიანის ანაზღაურების პროცესში ცნობილი ხდება, რომ დაზღვეულმა განცდილი ზარალის აღწერისას მცდარი ინფორმაცია მიაწოდა მზღვეველს, რაც მიზნად ისახავდა არამართლზომიერი სადაზღვევო ანაზღაურების მიღებას. შესაბამისად, არანაირი სადაზღვევო პრეტენზია დაკავშირებული ამგვარ შემთხვევებთან არ დაკმაყოფილდება.**

3.სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების პირობები
დანაკარგის ან ზიანის შესახებ შეტყობინებისას დაზღვეულმა მზღვეველს უნდა მიაწოდოს შემდეგი საბუთები:
- **დაზიანების გარემოების ზუსტი აღწერა;**
- **პოლიციაში ან შესაბამის ორგანოში, შეტანილი განცხადების ასლი და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება;**
- **სამომხმარებლო საქონლის შეძენისას გადახდილი თანხის დამადასტურებელი ინვოისის ან ქვითრის ორიგინალი;**
- **ამერიკან ექსპრეს ბარათის მეშვეობით შეძენის დამადასტურებელი საბუთი;**
- **შემთხვევითი დაზიანებისას, შეკეთების ღირებულების გაანგარიშების ასლი, შეკეთების ღირებულების ინვოისი ან ცნობა მაღაზიიდან იმის თაობაზე, რომ დაზიანების ბუნებიდან გომომდინარე სამომხმარებლო საქონელი შეკეთებას არ ექვემდებარება;**
- **ექიმის ცნობა ან თვითმხილველის განცხადება ძარცვის ან ყაჩაღობის შემთხვევაში, თუკი დამნაშავემ ფიზიკური ძალა გამოიყენა ნაძარცვის შესანარჩუნებლად;**
- **შეღწევით ქურდობის შემთხვევაში, ასეთი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები;**
- **ბარათის მფლობელის მიერ გაცხადებული პრეტენზიის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ყველა ზემოხსენებული დოკუმენტის მოწოდების შემთხვევაში.**

4.სამომხმარებლო საქონლის განმარტება
ამ დაზღვევის მიზნებისათვის სამომხმარებლო საქონლად ჩაითვლება ყველა ის საქონელი, რომლის ფასი ნაწილობრივ ან სრულად იქნა გადახდილი საქართველოს ბანკის ამერიკან ექსპრეს ბარათით, რომელზეც ვრცელდება შენაძენის სადაზღვევო დაფარვა.

შენაძენის სადაზღვევო დაფარვის პირობებით შემდეგი ტიპის საქონელი არ ჩაითვლება სამომხმარებლო საქონლად: პირუტყვი, მცენარეები, ნაღდი ფული, სამოგზაურო ჩეკები, სამგზავრო ბილეთები, ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი სხვა საქონელი, საუველირო ნაწარმი, ძვირფასი ქვები, საკვები პროდუქტი და სასმელი. ყურადღება! თუკი დაზღვეულმა საქონლის ღირებულება მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხადა ამერიკან ექსპრეს ბარათით, მზღვეველი ზარალს აანაზღაურებს მხოლოდ ამერიკან ექსპრეს ბარათით გადახდილის ფარგლებში.

სექცია 2 – ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენება

1.ბარათის მფლობელის სადაზღვევო დაფარვა - დაზღვევა ფარავს შემდეგ რისკებს:
ფინანსური ზარალი, რომელიც გამოწვეულია მოგზაურობისას, დაზღვეულის ამერიკან ექსპრეს ბარათის თაღლითური გამოყენებით (როდესაც ამგვარი ხდება ამერიკან ექსპრეს ბარათის დაკარგვის ან ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობის შემდგომ).
დაფარვა იწყება, დაზღვეულის მიერ ამერიკან ექსპრეს ბარათის დაკარგვის ან ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობის შესახებ ბანკისათვის შეტყობინების განხორციელებიდან.
ნებისმიერ შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვის პერიოდი არ აღემატება 72 საათს და მოიცავს დაზღვეულის მიერ საქართველოს ბანკისათვის ამერიკან ექსპრეს ბარათის პირობების დაცვით ბარათის დაკარგვის ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობის შეტყობინებიდან, ბარათის მოქმედების შეჩერებამდე პერიოდს.

2.გამონაკლისები
მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ზარალის ანაზღაურებაზე შემდეგ შემთხვევებში:
2.1 ამერიკან ექსპრეს ბარათის თაღლითურად გამოყენება მოხდა მანამ, სანამ ბარათი გადავიდა დაზღვეულის მფლობელობაში.
2.2 ბარათის მფლობელის ან მისი მეუღლის, მშობლების, შვილების, ნათესავების ან ბარათის მფლობელთან მცხოვრები ნებისმიერი სხვა პიროვნების მიერ ჩადენილი წინასწარ განზრახული და თაღლითური ქმედება;
2.3 ზიანი, რომელიც გამოწვეულია ომით, სამოქალაქო არეულობით, ამბოხით, აჯანყებით, რევოლუციით, ტერორიზმით, ბუნებრივი მოვლენებით, ბირთვული რეაქციით და რადიაციით.

3.სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე შეტყობინების პირობები დაზღვეული ვალდებულია:

3.1. შეატყობინოს საქართველოს ბანკს ბარათის დაკარგვის ან ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობის აღმოჩენისთანავე მომხდარის შესახებ ტელეფონზე +995 32 2 444 444 და შეაჩეროს ბარათის მოქმედება ბანკის ოპერატორის ინსტრუქციების მიხედვით (ან მოითხოვოს ბარათის მოქმედების შეჩერება);
3.2. შეატყობინოს პოლიციას (ან შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს). ბარათის მოპარვის ან დაკარგული ან მოპარული ბარათის თაღლითურად გამოყენების ფაქტის აღმოჩენისას. ბარათის მფლობელმა უნდა მოითხოვოს ასეთი განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყების დამადასტურებელი საბუთის ასლი, რაც საჭიროა სადაზღვევო ანაზღაურებისათვის.
3.3. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომხდარის შესახებ მზღვეველს და გაუგზავნოს მას შემდეგი დოკუმენტაცია:
- **წერილობითი შეტყობინება დაკარგული ან მოპარული ამერიკან ექსპრეს ბარათის თაღლითურად გამოყენების შესახებ, რომელშიც აღწერილი იქნება ამერიკან ექსპრეს ბარათის დაკარგვის ან ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობის გარემოებები;**
- **დაკარგული ან მოპარული ბარათით ჩადენილი თაღლითობის შესახებ და ბარათის მოპარვის შესახებ პოლიციაში ან შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში წარდგენილი განცხადების ასლი და ამ განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყების დამადასტურებელი საბუთი.**

დამატებით, ბარათის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს მზღვეველი შემდეგი დოკუმენტაციით:
- **"დაკითხვის ოქმის" ასლი ან გამომძიებლის ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ბარათის რეკვიზიტები და თაღლითურად გამოყენებული თანხების ოდენობა;**
- **პოლიციის მიერ "სისხლის სამართლის საქმის დაწყების შესახებ" გაცემული ცნობის დამოწმებული ასლი;**
- **პოლიციის მიერ "სამოქალაქო მოსარჩელედ აღიარების შესახებ" საბუთის დამოწმებული ასლი;**
- **პოლიციის მიერ "დაზარალებულად ცნობის შესახებ" საბუთის დამოწმებული ასლი;**
- **დაკარგული ან მოპარული ამერიკან ექსპრესის ბარათის თაღლითურად გამოყენების შემთხვევაში, ბარათის მფლობელმა/დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი რაც ადასტურებს ბარათის მფლობელის განცხადების საუძველზე გამოძიების დაწყების ფაქტს.**
- **დაზღვეულის საბანკო ანგარიშის ამონაწერის დამოწმებული ასლები.**

4.ანაზღაურებასთან დაკავშირებული პროცედურები
4.1. მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს შემთხვევის დადასტურებიდან და აღიარებიდან 15 დღის განმავლობაში;
4.2.ანაზღაურება გადაიხდება უშუალოდ დაზღვეულის საბანკო საბარათე ანგარიშზე. ანაზღაურება გადაიხდება თითოეული საქმის წარმოების მიხედვით და არ მოხდება მათი დაჯგუფება გარკვეული თარიღების მიხედვით თითოეულ თვეზე. მოცემული მექანიზმი შეიძლება გადაიხედოს წარმოებული საქმის მოცულობის მიხედვით, გადახდების დაჯგუფების შესაძლებლობის გათვალისწინებით, თუ ასეთი ამსუბუქებს საქმის წარმოებას როგორც მზღვეველის, ასევე დამზღვევისათვის.
4.3. თუ მზღვეველი უარს იტყვის ანაზღაურებაზე, მაშინ მან ბარათის მფლობელს უნდა გაუგზავნოს წერილი, რომლის ასლი გაეგზავნება დამზღვევს, მიღების შესახებ ცნობით, რომლითაც დასაბუთებული იქნება უარის თქმის საფუძველი.

სექცია 3 – ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენება ელექტრონული თაღლითობის შედეგად

1.დაზღვევა ფარავს შემდეგ რისკებს:
ელექტრონული თაღლითობა - გულისხმობს, მოგზაურობისას, ინტერნეტის ან ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მომსახურების/საქონლის არაავტორიზებულ შესყიდვას, რომლის შედეგადაც საბარათე ანაგარიშის მფლობელს მიადგა მატერიალური ზიანი.
2.გამონაკლისები:
მზღვეველი არ არის ვალდებული ზარალის ანაზღაურებაზე შემდეგ შემთხვევებში:
- **ბარათის მფლობელმა შეგნებულად ან დაუდევრობით, თავად გასცა ბარათის მონაცემები მესამე პირზე.**
- **თაღლითური სქემით გათვალისწინებული ელექტრონული ტრანზაქცია განხორციელდა ბარათის მფლობელის თანხმობით.**

3.სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე შეტყობინების პირობები - დაზღვეული ვალდებულია:
3.1. შეატყობინოს საქართველოს ბანკს ბარათის თაღლითური გამოყენების აღმოჩენისთანავე მომხდარის შესახებ ტელეფონის ნომერზე: +995 32 444 444 და შეაჩეროს/დაბლოკოს ბარათის მოქმედება ბანკის ოპერატორის ინსტრუქციების მიხედვით;
3.2. შეატყობინოს პოლიციას (ან შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს) ბარათის თაღლითური გამოყენების ფაქტის აღმოჩენისას. ბარათის მფლობელმა უნდა მოითხოვოს ასეთი განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყების დამადასტურებელი საბუთის ასლი, რაც საჭიროა სადაზღვევო ანაზღაურებისათვის.
3.3. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომხდარის შესახებ მზღვეველს და ბანკს და გაუგზავნოს მას შემდეგი დოკუმენტაცია:
- **წერილობითი შეტყობინება ამერიკან ექსპრეს ბარათის თაღლითური გამოყენების შესახებ, რომელშიც აღწერილი იქნება ამერიკან ექსპრეს ბარათის თაღლითური გამოყენების გარემოებები;**
- **ბარათის გამოყენებით ჩადენილი თაღლითობის შესახებ პოლიციაში ან შესაბამის ორგანოში წარდგენილი განცხადების ასლი და ამ განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყების დამადასტურებელი საბუთი.**
- **დამატებითი ინფორმაცია ბარათის თაღლითური გამოყენების შესახებ მზღვეველს ასევე მიეწოდება ბანკის მიერ.**

დამატებით, მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბარათის მფლობელს მზღვეველისათვის შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:
- **"დაკითხვის ოქმის" ასლი ან გამომძიებლის ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ბარათის რეკვიზიტები და თაღლითურად გამოყენებული თანხების ოდენობა;**
- **უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ "სისხლის სამართლის საქმის დაწყების შესახებ" გაცემული ცნობის დამოწმებული ასლი;**
- **"სამოქალაქო მოსარჩელედ აღიარების შესახებ" საბუთის დამოწმებული ასლი;**
- **უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ "დაზარალებულად ცნობის შესახებ" საბუთის დამოწმებული ასლი;**
- **დაზღვეულის საბანკო ანგარიშის ამონაწერის დამოწმებული ასლები.**

ბარათის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საბუთები იმ ქვეყნოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებიდან მათი საკანონმდებლო ნორმების მიხედვით სადაც აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევა დადგა.

4.ანაზღაურებასთან დაკავშირებული პროცედურები
4.1. მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს შემთხვევის დადასტურებიდან და აღიარებიდან 15 დღის განმავლობაში;
4.2. ანაზღაურება გადაიხდება უშუალოდ დაზღვეულის საბანკო საბარათე ანგარიშზე. ანაზღაურება გადაიხდება თითოეული საქმის წარმოების მიხედვით და არ მოხდება მათი დაჯგუფება გარკვეული თარიღების მიხედვით თითოეულ თვეზე. მოცემული მექანიზმი შეიძლება გადაიხედოს წარმოებული საქმის მოცულობის მიხედვით, გადახდების დაჯგუფების შესაძლებლობის გათვალისწინებით, თუ ასეთი ამსუბუქებს საქმის წარმოებას როგორც მზღვეველის, ასევე დამზღვევისათვის.
4.3. თუ მზღვეველი უარს იტყვის ანაზღაურებაზე, მაშინ მან ბარათის მფლობელს უნდა გაუგზავნოს წერილი, რომლის ასლი გაეგზავნება დამზღვევს, მიღების შესახებ ცნობით, რომლითაც დასაბუთებული იქნება უარის თქმის საფუძველი.

სექცია 4 - სამედიცინო ტრანსპორტირება

ტრანსპორტირება სამედიცინო ჩვენებით
იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში, სადაც მოგზაურობს დაზღვეული, არ არის ხელმისაწვდომი პირველადი გადაუდებელი დახმარების სერვისები, მზღვეველი იხდის შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის მქონე უახლოეს ჰოსპიტლამდე

გადაუდებელი ტრანსპორტირების ხარჯებს და ახდენს ტრანსპორტირების ორგანიზებას. ტრანსპორტირების ადგილი და საშუალებები დადასტურებული უნდა იყოს მზღვეველის სამედიცინო ჯგუფის მიერ.

სამედიცინო რეპატრიაცია

მზღვეველის ექიმები უკავშირდებიან დაზღვეულის მკურნალ ექიმებს და იღებენ გადაწყვეტილებას დაზღვეულის სამედიცინო საჭიროებებიდან გამომდინარე მკურნალი ექიმებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
თუკი მზღვეველის სამედიცინო ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას დაზღვეულის რეპატრიაციაზე, მზღვეველი იხდის აღნიშნული რეპატრიაციის ხარჯებს და ახდენს მის ორგანიზებას სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე;
რეპატრიაციის დანიშნულების ადგილია:

- **ან ჰოსპიტალი, რომელიც ყველაზე მეტად შესაბამისია;**
- **ან უახლოესი ჰოსპიტალი სამშობლოში ან დანიშნულების ქვეყანაში;**
- **ან დაზღვეულის სახლი ან მუდმივად საცხოვრებელი ადგილი;**

საბოლოო გადაწყვეტილებას ჰოსპიტალიზაციის ადგილის, თარიღის, დაზღვეულისთვის თანმხლები პირის აუცილებლობის და ტრანსპორტირების საშუალებების შესახებ იღებს მხოლოდ მზღვეველის სამედიცინო ჯგუფი.

II განყოფილების 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სექციების ზოგადი პირობები

ტერიტორიული ფარგლები

ამ დაზღვევის მიზნებისათვის სადაზღვევო დაფარვის არეალად მიიჩნევა მთელი მსოფლიო პრეტენზია ზიანის ან ზარალის შესახებ უნდა ეცნობოს მზღვეველს დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში 5 სამუშაო დღის განმავლობაში (არასამუშაო და სადღესასწაულო დღეების გამოკლებით). შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ფოსტით მითითებულ მისამართზე ან/და შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: amexclaims@gpih.ge
სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი (ს/კ 204426674);
მისამართი: თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 88/15
ტელეფონი: +995 32 2 505 111
დაზღვეული (გარდა 2020 წლის 01 იანვრამდე გაცემული პოლისის მფლობელებისა) პოლისზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი თანახმაა ნებისმიერი ის ინფორმაცია, მათ შორის საბანკო საიდუმლოების მატარებელი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის მზღვეველის მიერ დარეგულირებისათვის მოთხოვნილი იქნას მზღვეველის მიერ და გადაეცეს მას.

ყურადღება! მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან თუ დაზღვეული გააკეთებს შეტყობინებას ზარალის თაობაზე მომხდარიდან 90 დღის გასვლის შემდეგ და შედეგად ზიანის დადგომის მატერიალური გარემოების დადგენა შეუძლებელი იქნება.

საერთო პირობები განყოფილება 1-სა და განყოფილება 2-სათვის

- **პოლისის მოქმედების ვადა განისაზღვრება პოლისის შესაბამის გრაფაში მითითებული პერიოდის შესაბამისად, ამასთან, ბარათის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში პოლისის მოქმედება ავტომატურად გრძელდება ერთწლიანი ვადით/ვადებით, თუ არ არსებობს პოლისის შეწყვეტის ამ პირობებით გათვალისწინებული საფუძველი.**
- **ბანკი ვალდებულია პოლისის მოქმედების, მის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტიდან 2 დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია კონკრეტული პოლისის შეწყვეტის შესახებ.**

დასკვნითი დებულებები

ამ პირობებიდან გამომდინარე სადაზღვევო ურთიერთობა და პირობებიდან გამომდინარე დავა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. დავის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან მზღვეველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.
ამექს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება (მოიცავს როგორც წინამდებარე სტანდარტულ პირობებს ასევე, ამექს სამოგზაურო დაზღვევის პოლისს) შედგენილია ქართულ ენაზე.
სტანდარტული პირობები (მათ შორის მისი ცვლილებების/დამატებების და კონსოლიდირებული ვერსიის) მზღვეველის ვებ-გვერდზე mygpi.ge განთავსდება